საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 72 22/12/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტისა და მე-100 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის სახელით მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისათვის აიღოს სესხი 137.994 (ასოცდაჩვიდმეტიათასცხრაასოთხმოცდათოთხმეტი) ევროს ოდენობით.

კერძოდ:

ა) ნაგავმზიდი მანქანისათვის 7$მ^3$ 1 ხიდიანი,

ბ) ნაგავმზიდი მანქანისათვის 7$მ^3$ ორ ხიდიანი,

ბ) 100 ურნა.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის გამგებელმა პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონების მისაღებად გააფორმოს ხელშეკრულება სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან (ხელშეკრულების ფორმა თან ერთვის).

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის გამგებელმა პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონების გადასახდელი თანხა და ანგარიშსწორების პირობები განსაზღვროს ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე